ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3794970

ნომერი: AR1571127

თარიღი : 17.01.2018

გაცემის თარიღი : 26.01.2018

გაცნობის თარიღი : 27.01.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გიორგი ცაბაძის ქუჩა N17ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რობერტ მესუმიანი პ/ნ 01007011472
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 91 ბ. 42

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1.წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით უქმდება ფასადზე გამავალი არსებული კომუიკაცია (კაბელი), შესაბამისად საჭიროა მოთხოვნის ტექსტში განიმარტოს აღნიშნულის შესახებ და კომუნიკაციის გაუქმების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნას მესაკუთრის თანხმობა. მოთხოვნის ტექსტში ასევე განიმარტოს ინფორმაცია საპროექტოდ გათვალისწინებულია თუ არა ფასადზე არსებული ვიდეო კამერის გაუქმება. წინააღმდეგ შემთხვევაში ზემოაღნიშნული კვლავ იქნას ასახული ფოტომონტაჟზე.

2. "ინფორმაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან" ველში – საკადასტრო ერთეულის დამატებაში, საკადასტრო კოდში მიეთითოს სარეკონსტრუქციო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით ან „ფაილის მიმაგრების“ ველში ატვირთეთ ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

3. "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად "რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე". გამომდინარე აქედან, სარეკლამო აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზემოთ (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. მანათობელი წარწერის შემთხვევაში, ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული. შესაბამისად საჭიროა სარეკლამო აბრაზე გამოსახული ლოგო ტრანსლიტერაციის წესით გადმოიცეს ქართულ ენაზე.

4. მოთხოვნის ტექსტში განმარტეთ ინფორმაცია, ვის საკუთრებაში არსებულ ფართზე ხორციელდება სამუშაოები და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მესაკუთრეები დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლებად.

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციით სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს შპს კრედლაინს, ხოლო საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით აღნიშნულის სარგებლობა ვადაგასულია. წარმოსადგენია ძალაში მყოფი, სათანადოდ დამოწმებული ხელშეკრულება ან მისი საჯარო რეესტრში რეგისტრირება. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის გაგრძელება მოხდა დამატებითი შეთანხმებით ან დადებულია ახალი ხელშეკრულება, გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, ახალი გარემოებების წარმოჩენის შემთხვევაში დამატებით გეცნობებათ გამოვლენილი ხარვეზების შესახებ.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.